საქართველოს თეატრალური საზოგადოება

ს. გერსამია

ფალვა დადიანი

(მიოგრაფია)

გამომცემლობა „ხელოვნება“
თბილისი
1954 წ.

შალვა ნიკოლოზის ძე დადიანი

80 წელიწადი შესრულდა შალვა დადიანის დაბადებიდან და 60 წელიწადი, რაც იგი სამწერლო, სათეატრო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა. ამ ხანგრძლივი პერიოდიდან თითქმის 27 წელიწადი მას მოღვაწეობა მოუხდა იმ შავ-ბნელ დროს, როცა მეფის ბიუროკრატიული მთავრობის მიერ აზროვნება რკინის სალტეებით იყო შებოჭილი.

33 წელიწადი კი მოღვაწეობს საბჭოთა სახელმწიფოებრივ ცხოვრების ვითარებაში, როცა დაიმსხვრა ძველი წყობილების ნაშთები და მის ნანგრევებზე ახალი, ყველასათვის სანუკვარი მშრომელთა სახელმწიფო აშენდა.

შ. დადიანი საერთოდ ფართო დიაპაზონის ადამიანია და მისი სამოქმედო ასპარეზიც მრავალფეროვანია. იგი ყველა დარგში თანაბარის უნარით მუშაობდა და მუშაობს... და სადაც მისი მადლიანი ხელი მისწვდა, ყველგან ღრმა ნაკვალევი დააჩინა.

* * *

შ. დადიანი დაიბადა 1874 წლის 8/20 მაისს დაბა ზესტაფონში.

მამამისი ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანი იყო სოფ. ბეთლემიდან (ცხაკაიას რაიონი). თავის დროზე იგი ითვლებოდა ერთ-ერთ შესანიშნავ ინტელიგენტად და ეკუთვნოდა მესამოცე

წლების მოღვაწეთა წრეს, რომლის მეთაურებიც იყვნენ ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელები, დიდი მწერალ-მოღვაწეები ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

ნ. დადიანი აღზრდილი იყო რუსეთის გამოჩენილი მოაზროვნეების, მწერალ-მოღვაწეების ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის და სხვათა იდეებზე და მათ შეხედულებებს თანაუგრძნობდა. ზედმიწევნით იცოდა საქართველოს ისტორია, ქართული ძველი თუ ახალი ლიტერატურა, რუსული და დასავლეთ ევროპის მწერლობა, ისტორია, შესწავლილი ჰქონდა ასტრონომია და მედიცინა. ეს უკანასკნელი ისე კარგად იცოდა რომ მთავრობის მიერ მკურნალობის ოფიციალური ნებართვა ჰქონდა მიღებული. ითვლებოდა ქართული ენის შესანიშნავ მცოდნედ. მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა მწერლობაში და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

შ. დადიანის დედა ლიდია იყო ანტონ წულუკიძის ქალი. მას შინაური განათლება ჰქონდა მიღებული. კარგად იცოდა ძველი და მისი დროინდელი ქართული მწერლობა. იყო ოჯახის დიდად მოყვარული, მშვენიერი დიასახლისი და სათნო ადამიანი.

ნ. დადიანის ოჯახი ძველ ქართულ ტრადიციებს მტკიცედ იცავდა და მისი კარები მუდამ ღია იყო სტუმრებისათვის და იქ განუწყვეტლივ იკრიბებოდნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი და მოწინავე ადამიანები, რუსეთიდან ჩამოსული საპატრიო სტუმრები, რომლებსაც აინტერესებდათ საქართველოს წარსული და აწმყო ცხოვრება.

ასეთ ოჯახში დაიბადა და იზრდებოდა შ. დადიანი. ოთხი წლისას დედა გარდაეცვალა. ამის შემდეგ ნ. დადიანი თვითონ ჩაუდგა ოჯახს სათავეში. პატარა შალვას და მისი უმცროსი დის მაშოს* აღზრდაც მამის უშუალო ხელმძღვანელობა-მეთვალყურეობით მიმდინარეობდა.

დიდი ყურადღება ექცეოდა ბავშვების ფიზიკურ აღზრ-

* მაშო დადიანი-ანჩაბაძისა ცხოვრობდა სოხუმში და იქ მოღვაწეობდა.

დას. ამიტომ პატარა შალვას ყველაფერი თავის დროზე ჰქონდა: ძილი, ადგომა, გასეირნება, ჭამა-სმა, გართობა, დასვენება და შესაფერი ჩაცმა-დახურვა.

განსაკუთრებულ პირობებში მიმდინარეობდა აგრეთვე ბავშვის გონებრივი განვითარებაც: მამა საშუალებას აძლევდა შვილს თავისი საკუთარი ინიციატივით გაეკაფა გზა და განევითარებინა თვითმოქმედების უნარი. ოჯახი კი ამისათვის პატარა შალვას დიდ გასაქანს აძლევდა... მამა თითქოს მას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, თვით პატარა ბავშვს ამოქმედებდა, მაგრამ შორიდან კი სულ შალვაზე ეჭირა თვალყური, საჭიროების დროს გამოეხმაურებოდა და უხეიროდ გადადგმულ ნაბიჯს გამოასწორებინებდა. ნიკო დადიანის ასეთმა მიდგომამ მართლაც კარგი ნაყოფი გამოიღო. ამაზე შალვა დადიანის პირველი ბიოგრაფი მწერალი ნარკანი—ნიკო კურდღელაშვილი შემდეგს გვიამბობს:

„შალვა ხუთი წლისაა. მამის სახლში ყველა საქმეშია გართული: ზოგი წერს, ზოგი კითხულობს, მამა მყუდრო კაბინეტში მუშაობს. გარედ კი ნისლით დაბურული, წვიმიანი დღეა. შალვა ძალაუნებურად სახლშია შემწყვდეული. გარედ ვერ გადის, ვერ ერთობა. ყველასგან მიეიწყებული გასცქერის მოქუშულ ამინდს, ისმენს წვიმის წკაპა-წკუპს. გული უდუღდება. გაურკვეველი ბოღმა აწვება ყელში. ტუჩები ებერება, თვალები ცრემლით ევსება და უცებ აუვარდება ქვითინი. მამის მახვილ სმენას არ გამოეპარება ეს ხმაურობა. თვითონ მიიხმობს კაბინეტში, თავზე ხელის გადასმით მიუალერსებს და ჰკითხავს:

— შალვა, რა გატირებს?

პატარა შალვაც გულამომჯდარი შესჩივლებს, რომ ყველანი გართულნი ხართ, ზოგი წერს, ზოგი კითხულობს და მე რაღაში გავერთო, კითხვა არ ვიცი და გარეთაც წვიმსო.

— გინდა ისწავლო წერა-კითხვა? კარგი. აი მოდი აქ უცქირე—ეს არის „თ“ (მოუხაზავს), ეს არის—„ო“, ეს არის „ხ“, ეს არის—„ი“.

ასეთი ბედნიერი საღამო ჯერ არ ყოფილა შალვასათვის. იშვიათად ახსოვდა მამის ასეთი ალერსი და ყურადღება. როდი ანებივრებდა. ამ საღამოს დაისწავლა მან „თოხი“-წიგნებშიაც ეძება ეს ასოები და კარგად გაიკვეთა.

— „ახლა წადი.—უთხრა მამამ.

ეს იყო და ეს. დიდი ხანი გავიდა, რომ მამას არც მოუხმია შალვა და არც რაიმე უსწავლებია. საგულისხმო და საყურადღებო კია, თუ შეიძლება ითქვას, ასეთი უმეთოდო მეთოდით ანბანის დაწყება, მაგრამ, ალბად, აქაც თავისებური გზა აირჩია შალვას მამამ“-ო, ასკვნის ავტორი.

შემდეგ ბავშვმა თვითონ საკუთარი ინიციატივით შეისწავლა ანბანი: ხან ვის ეხვეწებოდა და ხან ვის ამა თუ იმ ასოს ახსნას. ყველა ასო შეისწავლა, მაგრამ ძალზე გაუჭირდა ასო—„ტ.“ შეხვდებოდა თუ არა ამ ასოს, უეჭველად გამოტოვებდა... კარგა ხანი გავიდა. ერთხელ მამამ მოულოდნელად დაუძახა კაბინეტში. გადასცა გაზეთი „დროება“ და უთხრა წაიკითხეო.

„შალვა მოულოდნელობით გაწითლდა, — მოგვითხრობს იგივე ნარკანი:—შერცხვა. დაიბნა, თან გულში გაივლო: „საიდან იცის მამამ, რომ კითხვა ვიცი, ან რა მოუბარებია, რასა მთხოვსო“. გაზეთი კი მაინც ჩამოართვა და დაიწყო კითხვა. მაგრამ გამოჩნდა სიტყვა „ტ“-ით და შალვაც ხელად გადახტა მეორე სიტყვაზე. მამამ შენიშნა ფრაზის უაზრობა და ჩაუკირკიტა:

— აბა კიდევ წაიკითხე.

შალვამ ხელმეორედ წაიკითხა უფრო თამამად, მაგრამ „ტ“-იანი სიტყვა კიდევ გადაყლაპა. მაშინ მამა მიუხვდა ეშმაკობას და აუხსნა რომ ეს ასო არის „ტ“.

ამ დღიდან მამა ყოველდღე აკითხებდა „დროებას“. მაგრამ აქაც ერია შალვასათვის უსიამოვნო მომენტი, რომლის კითხვაც ძალიან სძულდა. ეს იყო ბანკის „დისკონტი“. შალვა ოსტატურად გადაახტებოდა ხოლმე ამ ცნობას, მაგრამ

შამამ კარგად იცოდა მისი ოინბაზობა და სწორედ ამ „დისკონტს“ წააკითხებდა პირველად“*.

ასე ისწავლა შალვამ წერა-კითხვა... დადგა სასწავლებელში მიბარების დრო. მაგრამ ის სასწავლებელში არავის შეჰყავს. ნიკო დადიანს იმდროინდელი სკოლები არ მოსწონდა. ვერ ურიგდებოდა იმ პედაგოგიურ მეთოდებს და სწავლების იმ პრინციპებს, რომელიც გამეფებული იყო მაშინდელ სკოლებში, ამიტომ შალვა არ შეჰყავდა სასწავლებელში. მას განზრახული ჰქონდა შვილი კერძოდ მოემზადებია და გამოცდების ჩაბარების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში გაეგზავნა... მაგრამ რატომღაც ბავშვს კერძო მასწავლებლებიც არავინ ჰყავდა. შალვას სწავლის სურვილი კი დიდი ჰქონდა. ამიტომ დაეწაფა თვითგანვითარებას და ძლიერ ბევრსაც კითხულობდა. მამის მდიდარი ბიბლიოთეკა სავსებით მის განკარგულებაში იყო. ამას გარდა ის სისტემატურად ესწრებოდა მამის კაბინეტში სტუმართა საუბარს. ეს საუბრები კი ყოველთვის სერიოზულ ხასიათს ატარებდა და მრავალფეროვანი იყო: პოლიტიკა, მეცნიერება, ისტორია, ლიტერატურა, ხელოვნება და ვინ მოსთვლის კიდევ რას არ ეხებოდა... და შალვა ყველაფერს ცნობისმოყვარეობით ისმენდა. ცდილობდა საკითხებში გარკვეულიყო. გარკვევისათვის კი გაზეთებს და წიგნებს წამოიშველიებდა ხოლმე... დროგამოშვებით, როცა ძალიან გაუჭირდებოდა მამასაც წაიხმარდა.

ასეთი მეცადინეობით ბევრი რამ შეისწავლა და წერის სურვილი აღეძრა. ამ სურვილის დაკმაყოფილების მიზნით ხელნაწერი ჟურნალის გამოცემა გადაწყვიტა. მამამ აზრი მოუწონა და ასე 15 წლის ასაკში მყოფმა იწყო ჟურნალის გამოცემა. ამ ჟურნალს სახელად ერქვა „მოზარდი“. ჟურნალი ვრცელდებოდა ახლო მეგობრებსა და ნათესავებში. ჟურნალის უახლოესი თანამშრომლები იყვნენ: შემდეგში ცნობილი ბოლშევიკი და პოლიტიკური მოღვაწე მიხა ცხაკაია,

---

* შ. დადიანი—პიესები, სახელგამი. 1923 წ. გვ. XIX-XXI.

პოეტი დუტუ მეგრელი (დიმიტრი ხოშტარია) და შალვას და მაშო (ანჩაბაძის მეუღლე). ამ ხელნაწერმა ჟურნალმა ჩვენ დრომდე ბლომად მოაღწია და ამჟამად სახელმწ. სათეატრო მუზეუმშია დაცული. „მოზარდში“ მეტწილად თვით შალვას სხვადასხვა ხასიათის ნაწარმოებებია მოთავსებული. ჟურნალი დაწერილია თვით მისივე ხელით. შალვა ჟურნალს კარგა ხანს სცემდა და თამამად შეიძლება ითქვას, ამ ჟურნალის გამოცემამ ძლიერ შეუწყო ხელი ცოდნის წყურვილით აღგზნებულ ჭაბუკის გონებრივ განვითარებას, წერაში ვარჯიშობას და შრომის მოყვარეობისადმი შეჩვევას. საერთოდ ჟურნ. „მოზარდმა“ შ. დადიანის სამწერლო სარბიელზე გამოსვლას ნიადაგი მოუმზადა და ამავე დროს ხელი შეუწყო მისი დამოუკიდებელი აზროვნების და ინიციატივის განვითარებას.

დაახლოებით 1890 წ. ნიკო დადიანი თბილისში დასახლდა და შვილიც თან წამოიყვანა. ამ დროს შალვა 16 წლის იყო. მამამ მას აქ რუსული ენის სასწავლებლად მარიამ კვიატოვსკაია-ლორთქიფანიძისა მიუჩინა. ისიც გულმოდგინედ შეუდგა რუსული ენის შესწავლას. კვიატოვსკაია ახლო იდგა რევოლუციურად მოაზროვნე იმდროინდელ ახალგაზრდობასთან. თვითონაც რევოლუციურად იყო გაწყობილი და ამ ახალ აზრებს თავის მოწაფესაც უზიარებდა. ამას გარდა მოჰქონდა მისთვის პროკლამაციები და აკითხებდა. გააცნო მოწინავე ახალგაზრდები: „შიო ჩიტაძე, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და სხვები. შალვა დადიანი დაუახლოვდა მათ, დადიოდა მათ წრეებში, ისმენდა რეფერატებს სხვადასხვა პოლიტიკურ და მეცნიერულ საკითხებზე, ყურს უგდებდა მათ კამათს. მათივე დახმარებით ეცნობოდა არალეგალურ ლიტერატურას.

ამრიგად შალვა დადიანმა პოლიტიკურ საკითხებზე პირველი გაკვეთილები ამ წრეში მიიღო.

ყმაწვილი ამით არ კმაყოფილდებოდა, იგი განუწყვეტლივ კითხულობდა მხატვრულ ნაწარმოებებს და აცნობდა როგორც ქართულ, ისე რუსულ და უცხო ქვეყნების მწერლობას.

იგი ხშირი სტუმარი იყო თბილისის თეატრებისაც და სასცენო ხელოვნებაც მის სიმპათიებს იწვევდა.

1890 წელს შ. დადიანის ცხოვრებაში ერთი საყურადღებო ამბავი მოხდა: თბილისს ესტუმრა გამოჩენილი იტალიელი მსახიობი ერნესტო როსსი და მისი მონაწილეობით წარმოდგენები დაიწყო. ყველა თეატრს აწყდებოდა... ერთ-ერთ წარმოდგენას შ. დადიანიც დაესწრო. ხელოვანი მსახიობის ოსტატურმა თამაშმა ის მოხიბლა და აი მას პირველად გაუელვა ფიქრმა თვითონაც დაეწყო სცენაზე მუშაობა. ამ დროს შალვა დადიანი უკვე მეჩვიდმეტე წელიწადში იყო. შემდეგში ეს სურვილი უფრო გაუღვივდა და სცენაზე მუშაობა ნატვრად გადაექცა. ორი წლის შემდეგ ამ ნატვრას სინამდვილის ფრთები შეესხა და ერთ მშვენიერ დღეს მართლაც თავი ამოჰყო სცენაზე. ეს მოხდა 1893 წელს, როცა იგი მეცხრამეტე წელში იყო.

შ. დადიანი პირველად სცენაზე გამოიყვანა ქუთაისის პროფესიული თეატრის დამაარსებელმა ცნობილმა მსახიობ-რეჟისორმა და დრამატურგმა კოტე მესხმა, ქ. ქუთაისში ფრანგი დრამატურგის ალ. დიუმას პიესაში „მარგარიტა გოტიე“. ამ ამბავს ასე მოგვითხრობს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, აწ განსვენებული მსახიობი ეფ. მესხი, თავის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ მოგონებებში, რომელიც დაცულია სახელმწ. სათეატრო მუზეუმის არქივში: „ერთხელ კოტემ შემოიყვანა რეპეტიციაზე შალვა დადიანი, უკვე დავაქკაცებული, კარგის გარეგნობისა, მშვენიერი ქართულის ენით მოლაპარაკე და კოტემ შალვას დააკისრა პატარა, მაგრამ სიმპათიური გრაფის როლი. ეს იყო შალვას პირველი გამოსვლა სცენაზე. ამის შემდეგ ის ხშირად იღებდა მონაწილეობას წარმოდგენებში და აქედან დაიწყო მისი მუშაობა თეატრის სფეროში“.*

---

* საქართველოს სახელმწ. სათეატრო მუზეუმის არქივი—ეფემია მესხის მოგონებები, გვ. 47—48.

საზოგადოებას დამწყები მსახიობი ძლიერ მოეწონა. რეცენზენტები მის პირველ დებიუტს ქებით იხსენიებენ... მაგრამ შ. დადიანის სცენაზე გამოსვლა არ მოეწონათ მის ნათესავებს. მსახიობობა მათ გვარის ღირსების შეურაცხყოფად და დამცირებად მიაჩნდათ. შალვა დადიანმა მათ პრეტენზიებს ყურადღება არ მიაქცია და სცენაზე მუშაობა მტკიცედ გადაწყვიტა.

საყურადღებოა ის ამბავიც, რომ თვით შალვა დადიანის მამას შვილის მსახიობობა არ აკმაყოფილებდა, უნდოდა იგი კაბინეტური მომუშავე გამოსულიყო, მაგრამ რადგან თვით შვილმა ეს გზა აირჩია, წინააღმდეგობა არ გაუწია და დასტური მისცა. იგი მთელი თავისი ახალგაზრდული გატაცებითა და ენერგიით ჩაება სათეატრო ცხოვრების ფერხულში.

1896 წლის შემოდგომაზე შალვა დადიანს დიდი უბედურება დაატყდა თავზე: მისი საყვარელი და დიდი მოამაგე მამა გარდაეცვალა და ის სრულიად დამოუკიდებელ ცხოვრებისაკენ გზის გაკაფვას შეუდგა.

ერთის მხრივ თუ ის სასცენო ხელოვნებამ გაიტაცა და ნისი მსახური შეიქნა, მეორეს მხრივ მას არა ნაკლებ იზიდავდა მწერლობა. თბილისში გადმოსახლების შემდეგაც არ გაუგდია კალამი ხელიდან. სოფლად ცხოვრების პერიოდში იგი წერის ჟინს ჟურნალის გამოცემით იკლავდა. ამავე ჟურნალის გამოცემას ერთხანს თბილისშიც განაგრძობდა. ამას გარდა დაიწყო ლექსების წერაც, რომლის ერთი ნაწილი ჟურნალში გამოაქვეყნა, ხოლო მეორე ნაწილი ხელნაწერის სახით ჰქონდა შენახული. 1892 წელს მან შეკრიბა თავისი, ყმაწვილობის დროს დაწერილი ლექსები, მათში შეარჩია საუკეთესო და ცალკე წიგნაკად გამოსცა ქუთაისში. ამ ლექსთა კრებულს უწოდა „ნაპერწკალი“. შალვა დადიანი ამის შემდეგაც განაგრძობდა წერას, მაგრამ პოეზიიდან იგი პროზაზე გადავიდა. აღსანიშნავია, რომ მას ამ დარგში მეტი უნარი აღმოაჩნდა, რის შედეგადაც 1896 წელს გაზეთ „ივე-

რიაში“ დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა „წმინდა ცრემლები“. მოთხრობა გამოქვეყნდა „ქუჯის“ ფსევდონიმით.

გაზეთი „ივერია“, რომლის რედაქტორიც ილია ჭავჭავაძე იყო, თავის ფურცლებზე ყველას როდი უთმობდა ადგილს. იგი აქვეყნებდა მხოლოდ ისეთ დამწყებ მწერალთა ნაწარმოებებს, რომელთაც უტყუარი ნიჭი ემჩნეოდათ და მომავალში ამ ნიჭის გაფურჩქვნის იმედს იძლეოდნენ. შ. დადიანმა ეს ამბავი კარგად იცოდა, ამიტომ პირველი მოთხრობის გაზეთის ფურცელზე გამომზეურებამ იგი წაახალისა, ამის შემდეგ კალამი ხელიდან არ გაუგდია, ენერგიულად განაგრძო მწერლობა და დღემდე დაუღალავად ემსახურება მას.

1900 წლის 2 იანვარს შესრულდა 50 წელიწადი, რაც პირველად ამეტყველდა გიორგი ერისთავის მიერ განახლებული პროფესიული, რეალისტური თეატრი. ქართველმა ხალხმა ეს ღირსშესანიშნავი თარიღი დიდი ზეიმით აღნიშნა. თბილისმა და ქუთაისმა იუბილე მოაწყო. მთელ რიგ ქალაქსა და დაბაში მოეწყო საზეიმო საღამოები. თარიღის აღნიშვნაში შ. დადიანმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო. ის სიტყვით გამოვიდა ქუთაისის თეატრში გამართულ საიუბილეო საღამოზე. ამ სიტყვამ მსმენელებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ეს იყო შ. დადიანის პირველი საჯარო გამოსვლა სიტყვით ფართო საზოგადოების წინაშე.

ამითაც არ დაკმაყოფილდა. საიუბილეო დღეების ჩატარების შემდეგ შეკრიბა მასალები და იმავე 1900 წ. გამოსცა საიუბილეო კრებული — „სახსოვრად ქართული თეატრის 50 წლის არსებობის დღესასწაულისა“. ამ კრებულში მან რამდენიმე სტატია მოათავსა. პირველ სტატიაში შალვა დადიანი მოკლედ მოგვითხრობს ქართული თეატრის თავგადასავალს 50 წლის მანძილზე, მეორე სტატიაში გვიამბობს თუ როგორ ჩატარდა იუბილე თბილისში და თანაც გვაწოდებს ფაქტიურ მასალებს, მესამეში აგვიწერს ქუთაისში ჩატარე-

ბულ საიუბილეო საღამოს და თანაც ქუთაისის ფაქტიურ მასალებს აქვეყნებს.

ამ კრებულს ქართული თეატრის ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ხოლო შ. დადიანი, მისი შემდგენი და სტატიათა ავტორი, ვალერიან გუნიას შემდეგ პირველი სათეატრო მოღვაწეა, რომელმაც ქართული თეატრის ისტორიის შესწავლისათვის მასალები დააგროვა და თვით ქართული თეატრის ისტორიის საწყისები შემოხაზა.

სულ რაღაც 6—7 წლის განმავლობაში შ. დადიანი ფართო მასშტაბით ჩაება, როგორც მწერლობაში, ისე სასცენო ხელოვნების დარგში და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში. ასეთი დიდი მასშტაბი მოღვაწისაგან უფრო მეტს ცოდნა-განვითარებას მოითხოვდა, ვიდრე მას ჰქონდა. აბას შ. დადიანი ძალიან კარგად გრძნობდა, ამიტომ მტკიცედ გადაწყვიტა უმაღლესი განათლების მიღება. ამ მიზნით დაიწყო ნიადაგის მომზადება და 1903 წელს გაემგზავრა მოსკოვს. მოექცა სტუდენტთა წრეში და მათი დახმარებით ემზადებოდა უნივერსიტეტისათვის. იგი მისთვის ჩვეული ენერგიით შეუდგა მეცადინეობას, პარალელურად დადიოდა მოსკოვის თეატრებში, ეცნობოდა მათ საქმიანობას, ითვისებდა მათი მუშაობის მეთოდებს... ამხანაგ სტუდენტებისავე მეშვეობით უფრო დაწვრილებით გაეცნო იმდროინდელ არალეგალურ პოლიტიკურ მოძრაობას, დაეწაფა პოლიტიკურ ლიტერატურის კითხვასაც. ამ პერიოდში რევოლუციური მოძრაობის ტალღა თანდათანობით ძლიერდებოდა, საერთო ფერხულში სტუდენტების მოწინავე ნაწილიც იყო ჩაბმული. სტუდენტების წინააღმდეგ ბიუროკრატიულმა მთავრობამ რეპრესიები გააძლიერა: დიდძალი სტუდენტობა დააპატიმრა, ბევრი გაჩხრიკეს და საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანეს. ზოგს სატახტო ქალაქში ცხოვრება აუკრძალეს. მეფის მთავრობის რისხვა შალვა დადიანსაც დაატყდა. იგი გაჩხრიკეს. წაართვეს წიგნები და ხელთნაწერები. საერთოდ ისეთი

პირობები შეიქნა, რომ მისი მოსკოვში დარჩენა შეუძლებელი გახდა, ამიტომ სწავლას თავი დაანება და 1905 წელს სამშობლოში დაბრუნდა.

შ. დადიანი დაბინავდა თბილისში. მუშაობა დაიწყო ქართულ თეატრში, ხელი მიჰყო მწერლობას და ჩაება საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში.

მოსკოვში თითქმის 2 წლის მანძილზე ცხოვრებამ, უმაღლესი სასწავლებლისათვის მზადებამ, იქაურ თეატრებში ხშირმა სტუმრობამ, შალვა დადიანს დიდი ცოდნა შესძინა, ცხოვრებაში ერთნაირი გამოცდილებაც მიიღო, ყოველივე ამან კი ნის შემდგომ მოღვაწეობას ძლიერ შეუწყო ხელი.

რამდენიმე ხნის შემდეგ შ. დადიანმა კიდევ სცადა უმაღლესი განათლების მისაღებად ნაბიჯების გადადგმა. ამჯერად მას საზღვარგარეთ—საფრანგეთში უნდოდა გამგზავრება, მაგრამ ეს განზრახვაც ჩაეშალა. ეს იყო და ეს... მან შემდეგში უმაღლეს განათლების მიღებაზე ფიქრსაც კი დაანება თავი, ენერგიულად მოჰკიდა ხელი თვითგანვითარებას და ამჟამად, როცა იგი ჩვენს წინაშე დგას როგორც კარგი მცოდნე ქართული ენისა, ლიტერატურისა, ხელოვნებისა და სხვადასხვა დისციპლინისა—ეს არის შედეგი თვით შალვა დადიანის დაუშრეტელი ენერგიისა და თავისთავზე სისტემატური მუშაობისა.

ჩაეფუშა თუ არა მეორედ უმაღლესი განათლების მიღების იმედი, იგი თავის ხვედრს შეურიგდა და მრავალფეროვანი მოღვაწეობა განაგრძო.

* * *

შ. დადიანმა მოღვაწეობა მწერლობით დაიწყო. ამ მხრივ ის მრავალფეროვანი და ფრიად ნაყოფიერია. იგი არის: დრამატურგი, ბელეტრისტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტ—ჟურნალისტი, ისტორიოგრაფი და მემუარისტი.

ერთ დროს ლექსებსაც წერდა და როგორც აღვნიშნეთ, 1892 წელს მისი ლექსთა კრებული ცალკე წიგნაკადაც გამო-

იცა. მისი ცნობილი ლექსი „მხოლოდ შენ ერთს“, რომელსაც სასიმღერო ჰანგი შეუწყვეს, ერთ დროს ხალხში ძლიერ გავრცელებული იყო და იშვიათად დამთავრდებოდა ისეთი ლხინი რომ არ ემღერათ. ამ ლექსს ხშირად მღეროდნენ სცენაზედაც... მაგრამ შალვა დადიანმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ის მოწოდებით პოეტი არ იყო. მწერლობაში ამ ჟანრს იგი იშვიათად მიმართავს და თუ ოდესმე, რაიმე შემთხვევის გამო ლექსს დაწერს,—ეს მხოლოდ სალაღობოდ ან და „მეგობართა სათრეველად“.

სამაგიეროდ მისი საყვარელი ჟანრი არის დრამატურგია. იგი ფრიად დახელოვნებული დრამატურგია და ბევრის გაკეთებაც შესძლო.

. შ. დადიანმა თავისი პირველი დრამატული ნაწარმოები დაწერა 1905 წელს. ეს პიესაა „მღვიმეში“, რომელსაც უწოდა „ფანტასტიური სანახაობა“. პიესა რევოლუციური ხასიათისაა. დაწერილია 1905 წელს რევოლუციური მოძრაობის გავლენით. პიესაში გამოთქმულია თვითმპყრობელური მთავრობის დამხობისა და ხალხის გამარჯვების იმედი. ამ ნაწარმოებში ავტორი გამოიყურება, როგორც მოწინავე ადამიანი, რომელიც ხალხს უდგას გვერდში და რევოლუციურ მოძრაობას შეჰხარის, ამავე დროს გამარჯვებას უწინასწარმეტყველებს.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციის მძვინარების დროს, მან დაწერა მეორე, რევოლუციური ხასიათის პიესა—„როს ნადიმობდნენ“. აქ დასმულია კლასთა ბრძოლის საკითხი. მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ იბრძვიან არისტოკრატიული და ბურჟუაზიული ელემენტები... და როცა ეს უკანასკნელნი მდიდრულად მორთულ სუფრას შემოსხდომიან, ამ დროს, მაშინდელი ერთი რეცენზენტის სიტყვებით რომ ვთქვათ—„შემოიჭრებიან მუშები და მოითხოვენ მუქთამჭამელებმა სუფრა დაუთმონ მათ—შრომის შვილთ, რომელნიც თავის მარჯვენითა და ოფლით ქმნიან სიმდიდრეს. ბატონს სურს ძალა იხმაროს მუშების წინააღმდეგ, ეძახის მოსამსახურეებს, მაგრამ ისინი არ ჩანან. ამავე დროს შორიდან

მოისმის რევოლუციური ჰიმნი, რომელიც თანდათანობით უახლოვდება ბატონის სახლს.

ამ დაძაბულ მომენტში ერთ-ერთი მოქმედი პირი — მუშა. ბატონის თავხედობით გაბრაზებული და რევოლუციური სიმღერით აღფრთოვანებული, ბატონს და საერთოდ სუფრის გარშემო მსხდომთ შეესიტყვება და სხვათაშორის იტყვის: „... მაგრამ გესმით? აი, რა ხმები მოისმის! ჩვენს უკან ლაშქარია. გამხდარი, გაძვალტყავებული, თქვენგან ცხოვრებაში გარიყული, დამონებული... ამ ნადიმს მოკლებული, მაგრამ მაინც ლაშქარი... ხედავთ როგორ ახლოვდება ხმა?.. ეს გარდაუვალი რამ არის... მე აქამდის ვთხოულობდი, მაგრამ მოვა ეს ლაშქარი და ძალით წაიღებს იმას, რაც სამართლით მას ეკუთვნის“.

ამ მონოლოგის დროს ისმის ქუხილი და ქარიშხალის ზუზუნი. საშინლად ბნელდება... ავტორი ამ ხერხით სიმბოლურად გამოხატავს რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებას. სუფრის გარშემო მსხდომნი, მშრომელი ხალხის კლასობრივი მტრები დაფრთხებიან. სუფრას მოსცილდებიან. ამ დროს ელვა უეცრად გაანათებს და სუფრასთან ახლო გამოჩნდებიან ნეხიარული და სახეგაბრწყინებული მშრომელი ხალხის წარმომადგენლები და უფრო მქექარედ ისმის რევოლუციური სიმღერა...

ავტორი რევოლუციის დამარცხების შემდეგ იმედს არ კარგავს, არ ვარდება სასოწარკვეთილებაში და საჯაროდ აცხადებს რომ კვლავ დადგება დრო, როცა მშრომელი ხალხი ამოქმედდება, დაანთებს ბრძოლის კოცონს, გაიმარჯვებს და ძლევის დროშას ააფრიალებს.

ეს პიესა ავტორმა დაწერა 1907 წლის მიწურულში. ასეთ დუხჭირ და სახიფათო მომენტში აშკარად გამოთქმა იმედისა, რომ მშრომელი ხალხი კვლავ აღიმაღლებს ხმას და მონობის ბორკილს ძალით დაამსხვრევსო, უეჭველად დიდი გამბედაობა იყო.

1912 წელს დაწერა სამმოქმედებიანი პიესა—„შენი ჭირიმე“, რომელსაც უწოდა „ქალმის ნაეშმაკარი“. პიესა მიზნად ისახავს აწეროს დიდი ბობოლა ჩინოსან არისტოკრატის ოჯახის ფუქსავატი ცხოვრება. გენერალი, თავადი გრან-ბატოვანი, მისი ოჯახის წევრები და მათი ამყოლ-დამყოლნი მოკლებულნი არიან საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესს. მათ მხოლოდ თავიანთი პირადული საქმე აინტერესებთ და საკუთარი „მე“ გაუხდიათ კერპად. ქეიფი, დროსტარება, გართობა, უსაქმობა... აი მათი საზრუნავი საქმეები, სხვა საკითხები კი მათ წინაშე არასდროს არ წამოჭრილა... განა მარტო გენერალი, თავადი გრან-ბატოვანი და მისი ოჯახის წევრები იყვნენ ასეთები? არა, მათი მსგავსი ადამიანის სახის მატარებელი ქმნილებანი საქართველოში კიდევ მრავლად არსებობდნენ და შალვა დადიანმა მათი მახინჯი სახეები პიესაში მოხერხებულად და დამაჯერებლად დაგვიხატა.

1917 წელს, თებერვლის რევოლუციის პერიოდში დაწერა თავისი შესანიშნავი, სამმოქმედებიანი კომედია „გუშინდელნი“. თვით პიესის სახელწოდება გვეუბნება, რომ პიესაში მოქმედ პირებად გამოყვანილი არიან ის ადამიანები, რომელნიც მოქმედებდნენ გუშინ, ე. ი. რევოლუციის წინა პერიოდში. პიესა დიდი ოსტატობით არის დაწერილი. ავტორი დაუნდობლად ამათრახებს არისტოკრატიას, მეფის მოხელეებს და სოფლის ცხოვრების წიაღში მოფუსფუსე სხვადასხვა ჯურის ელემენტებს. მიმზიდველი და დამაჯერებელი ფერებით ასურათებს რევოლუციამდელი ჩვენი სოფლის ყოფა-ცხოვრების ერთ მხარეს.

პიესა შინაარსის მიხედვით მეტად საინტერესოა, რეალისტურ ხაზებშია გაშლილი, დიდი ოსტატობითაა დაწერილი და არა მარტო შ. დადიანის ნაწარმოებთა შორის, არამედ მთელ ქართულ დრამატურგიაში ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოებია და ირიცხება ჩვენი დრამატურგიის ოქროს ფონდში.

ამავე პერიოდში, ანდა უფრო გარკვევით რომ ვთქვათ

1921 წლამდე შ. დადიანმა კიდევ რამდენიმე პიესა დაწერა; სახელდობრ: „ვარამი“, ისტორიული ოცნება, 3 სანახავად— 1916 წელს, პიესის შინაარსი აღებულია თამარ მეფის ეპოქიდან. მთავარ მომქმედ პირად გამოყვანილია თვით თამარ მეფე. ეს დრამატიული ნაწარმოები დრამატურგიულად კარგად არის შესრულებული, მაგრამ ზოგიერთი პერსონაჟი იდეალიზებულია; „გეგეჭკორი“, ისტორიული ლეგენდა სამეგრელოს ცხოვრებიდან სამ მოქმედებად და სხვა.

შ. დადიანის დრამატურგიულმა შემოქმედებამ განსაკუთრებით ფრთები გაშალა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამ პერიოდში დაწერილი პიესებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს „ნაპერწკლიდან“. ამ დრამატულ ნაწარმოებში მან პირველმა გამოიყვანა სცენაზე მოქმედ პირად გენიოს ლენინის თანამებრძოლი დიდი სტალინი. მან პირველმა გვიჩვენა ამ დიდი ადამიანის სახე ახალგაზრდობის პერიოდში. პიესამ ავტორს დიდი სახელი მოუხვეჭა. ის დაიდგა არა მარტო საქართველოს ყველა თეატრში, არამედ რუსეთისა და სხვა მოძმე რესპუბლიკათა მთელ რიგ თეატრებში. ითარგმნა მრავალ ენაზე მათ შორის ჩინურ ენაზე და ცალკე წიგნად გამოიცა 1953 წელს.

ამ პერიოდში დაწერილ პიესებიდან აგრეთვე ყურადღებას იპყრობენ:

„კაკალ გულში“, პიესა 3 მოქმედებად, დაწერა 1928 წელს. „კაკალ გულში“ კომედიური ჟანრის ნაწარმოებია. მისი შინაარსი საბჭოთა თემაზეა აგებული და ეხება ზოგიერთ დაწესებულებაში არსებულ ბიუროკრატიზმს. ავტორი მიზნად ისახავს გამოამჟღავნოს ბიუროკრატიზმის ხელის შემწყობი პირობები, ბიუროკრატიული ელემენტების საქმიანობა და აჩვენოს როგორი წესით მიმდინარეობს ამ ნაკლის წინააღმდეგ ბრძოლა. პიესაში კარგად ჩანს დახელოვნებული დრამატურგის ხელი.

„თეთნულდი“ დაიწერა 1930 წელს. ეს პიესა განახლებული სვანეთის ცხოვრების შინაარსზეა აგებული და ასახავს იმას,

თუ საბჭოთა სვანეთი როგორ იცვლის ფერს, როგორ იმსხვრევა ძველი ადათ-წესები და მის ნანგრევებზე როგორ იდგამს ფეხს ახალი ცხოვრება — საბჭოთა წეს-წყობილება. ერთმანეთს ებრძვიან ძველი და ახალი ცხოვრების დამცველი ადამიანები. მათი ბრძოლა შეუპოვარია. ძველი მარცხდება და ახალი იმარჯვებს. ავტორს ეს ბრძოლა ტრაგიზმის სიმაღლემდე აჰყავს და პიესა „თეთნულდი“ ტრაგედია უფროა თავის ფორმით, ვიდრე სხვა ჟანრის ნაწარმოები. პიესის მთავარი ნაკლია ის, რომ სვანეთში მიმდინარე მშენებლობა მოქმედებაში კი არ არის ნაჩვენები, არამედ ამას საუბარში გადმოგვცემენ პერსონაჟები.

შ. დადიანის დანარჩენი პიესებიდან უნდა დავასახელოთ: „ცოცხი და ლოკოკინა“, კომედია 4 მოქმედებად, „არაფერიც არ იქნება“, კომედია 3 მოქმედებად, „უწა-უწა“ სალაღობო ნუსიკითა და ცეკვით 4 მოქმედებად, „შავი ქვა“, „ბარათაშვილი“ და სხვ.

შ. დადიანი ძლიერ დახელოვნებულია პიესების გადმოკეთებაშიც. 1908 წ. ამ მიმართულებით მან პირველად სცადა თავისი უნარი ი. ჭავჭავაძის მოთხრობა „გლახის ნაამბობში“, რომელიც გადააკეთა სამმოქმედებიან დრამად და რომელსაც უწოდა „ბატონი და ყმა“. ეს პიესა პირველად დადგეს ჭიათურის თეატრში. ამის შემდეგ სხვა თეატრებმაც დადგეს და ის დიდხანს შერჩა ქართული თეატრის რეპერტუარს. „ბატონი და ყმა“ ამ ჟამადაც კი იდგმება ზოგიერთ სცენაზე.

ამას გარდა ყურადღებას იპყრობენ შალვა დადიანის მიერ გადაკეთებული პიესები: „ჩატეხილი ხიდი“, რომელიც დაწერილია ილია ჭავჭავაძის ნაწერების მიხედვით, „ნინოშვილის გურია“ — ეგ. ნინოშვილის მოთხრობათა მიხედვით, „ბედის ტრიალი“ — ან. ერისთავ-ხოშტარიას რომანის მიხედვით და სხვ.

შ. დადიანის სხვა ორიგინალურ და გადმოკეთებულ დრამატულ ნაწარმოებებზე აღარ შევჩერდებით, მხოლოდ ავღ-

ნიშნავთ, რომ ამ პიესათა მეტი ნაწილი თავის დროზე იდგ-ებოდა სცენაზე და ზოგი მათგანი ამჟამადაც იდგმება.

შ. დადიანის დრამატურგიაში მუშაობა ამით არ ამოიწურება, მან ქართული ლიტერატურა და თეატრის რეპერტუარი გაამდიდრა ნათარგმნი პიესებითაც, რომელთაგან დავასახელებთ რამდენიმეს: „გაუდეამუს“—ლ. ანდრეევისა, „ძუნწის თავგადასავალი“—მირზა ფატალი ახუნდოვისა, „რომეო და ჯულიეტა“—უ. შექსპირისა, „პირველეულის მორჯულება“—მისივე, „მარიამ სტიუარტი“—შილერისა, „მანფრედი“ და „სარდანაპალი“—ბაირონისა, „ჰანელე“ და „სული ობოლი“—ჰერ. ჰაუპტმანისა, „ელექტრა“—ჰოფმანსტალისა, „გაკოტრება“, „სულ სხვა კაცი“ – გერმან ბარისა, „ბრძოლის ველი“—კოლიშკოსი, „უბედური ნაბიჯი“—კარეევისა და მრავალი სხვა. ნათარგმნი პიესების მეტი ნაწილი სცენაზე დაიდგა.

შ. დადიანმა საერთოდ დაწერა, გადმოაკეთა და თარგმნა 100 პიესაზე მეტი.

შ. დადიანი ერთ ადგილას ლაპარაკობს: „ჩემი თავი უფრო ბელეტრისტი მეგონა და ამ ოცდაათი წლის მონაკვეთზე კი დრამატურგად გამოვედიო“.

ეს მან დასწერა როცა მისი პიესების სქელტანიანი კრებული პირველად დაიბეჭდა 1923 წელს. შ. დადიანის როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატის ძლიერება ისაა, რომ იგი დიდი გაქანების ბელეტრისტიცაა და მხატვრულ ლიტერატურის ამ ორ ჟანრს შუა, მისი მოქნილი კალამი თამამად დანავარდობს.

თავდაპირველად ის მინიატურებს და მცირე მოცულობის მოთხრობებსა წერდა. შემდეგ კი დიდ ტილოებზეც გადავიდა.

შ. დადიანმა დაწერა 100-მდე მინიატურა და წვრილი მოთხრობა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ მოსაგონებლად რამდენიმეს დავასახელებთ: „ტყვე“, „სამსონის თმები“, „შვილი“, „ათე“, „ლელა“, „დედოფალი“, „ხორ-

ცი“, „იახში ხანუმ“ და სხვა. ეს ნაწარმოებები დაწერილია მოხდენილი ლიტერატურული ენით, იკითხება ხალისით. თავის მინიატურებსა და მოთხრობებში ავტორი მეტწილად საზოგადოებრივ და სოციალურ საკითხებს ეხება.

შ. დადიანის დიდი მოცულობის ბელეტრისტულ ნაწარმოებებში; უპირველესად ყოვლისა უნდა მოვიხსენიოთ რომანი „გიორგი რუსი“. მისი შინაარსი ისტორიულია და აღებულია თამარ მეფის ცხოვრებიდან. ავტორი ეხება თამარ მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის იმ მონაკვეთს, როცა რუსეთის მთავრის ანდრეი ბოგოლუბსკის შვილი იური და თამარი შეუღლდნენ. აწერილია მათ შეუღლებასთან, საერთო ცხოვრებასთან და მათ ;გაყრასთან დაკავშირებული ამბები.

რომანი შესანიშნავი ენითაა დაწერილი. როდესაც კითხულობთ ეპოქის სურნელებას, ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი ცხოვრების დადებით და უარყოფით მხარეებს კარგად გრძნობთ. მაგრამ სამწუხაროდ, ავტორი შეცდომისაგან არ არის დაზღვეული. ჩვენამდე მოღწეული ზოგიერთი ისტორიული ცნობა კრიტიკულად არ განუკვრეტია და ფაქტებისა თუ მოქმედებათა გასაშუქებლად ასეთი წესით არ გამოუყენებია. ეს ეხება უმთავრესად საქართველოს რუსეთთან და რუს ხალხთან დამოკიდებულებას.

ამ რომანის წერა ავტორმა დაიწყო 1916 წელს და დაასრულა 1924 წელს.

მეორე მისი რომანია „ურდუმი“. იგიც ისტორიულია, მაგრამ უფრო ახლოა ჩვენ ეპოქასთან. აწერილია 1857 წელს სამეგრელოში მომხდარი გლეხთა აჯანყება, რომლის მეთაურებიც იყვნენ მჭედელი უტუ მიქავა, უტუ თოდუა და კოჩა თოდუა. რომანი როგორც ვხედავთ სოციალური შინაარსისაა, ეხება გლეხთა იმ დროინდელ უმწეო მდგომარეობას და მიზეზებს, რამაც გამოიწვია აჯანყება, აჯანყებულთა ბრძოლას უფლებების მოპოებისათვის. ავტორის მთელი სიმპათიები აჯანყებულთა მხარეზეა და ის გვევლინება როგორც ჩაგრული ხალხის ინტერესების დამცველი.

ამათ გარდა შ. დადიანმა კიდევ დაწერა რომანები „მენჯი რობუ“ და „სიტყვა ჭეშმარიტი“.

საერთოდ როცა შ. დადიანის მხატვრულ ნაწარმოებებს კრიტიკული თვალსაზრისით გადასინჯავთ ასეთი ურყევი აზრი დაგებადებათ: მათი ავტორი ჭეშმარიტი პატრიოტია და თავის ხალხის სიყვარულით აღგზნებულ გრძნობებს სასოებით ატარებს გულში. შალვა დადიანი პროგრესიულად მოაზროვნე ადამიანი იყო ყოველთვის, სჯეროდა მშრომელთა კლასის გამარჯვება და აქედან გამომდინარე, ყველა ნაწარმოებში ცდილობდა მეტ-ნაკლებობით სოციალური საკითხების გაშუქებას.

შ. დადიანს მრავალი კრიტიკული სტატია და ისტორიული ნარკვევები აქვს დაწერილ-გამოქვეყნებული. ამ ნაწარმოებებში ავტორი ეხება ლიტერატურისა და სასცენო ხელოვნების საკითხებს. ყველა, ამ ხასიათის შრომების ჩამოთვლა არც ისე ადვილი საქმეა, მაგრამ იმის გასათვალისწინებლად თუ ეს ნაშრომები რამდენად მრავალფეროვანია, რამდენიმეს დავასახელებთ.

ლიტერატურულ საკითხებზე დაწერილი შრომები: „ნიკო შიუკაშვილი“ (დრამატურგი), „სანდრო შანშიაშვილი“, „ია ეკალაძე“, „პუშკინი როგორც დრამატურგი“, „გრიბოედოვის ცხოვრება და შემოქმედება“, „რეალისტი მწერალი“ (ეხება დუტუ მეგრელის შემოქმედებას), „დიდი რუსი დრამატურგი ა. ნ. ოსტროვსკი“, „ხაჩატურ აბოვიანი“, „ალიშერ ნავოი“, „ამხანაგ სტალინის სახე ქართულ საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში“, „ბელადის სახე საბჭოთა დრამატურგიაში“, „ემილ ზოლა“ და თეატრი“, „ორი სიტყვა ბელინსკიზე“, „დრამატურგია დღეს“, „1950 წლის მხატვრული პროზა“, „ავქსენტი ცაგარელი“ და მრავალი სხვა.

სასცენო ხელოვნების საკითხებზე: „ტასო აბაშიძე“ (გამოიცა ცალკე წიგნად), „ქართული თეატრის განვითარების გზები“, „შაქრო გომელაური“, „ელეონორა დუზე“, „ბებერი კედლები“ (ქუთაისის თეატრზე).

აქვს დაწერილი თეორიული ხასიათის სტატიები სასცენო ხელოვნებაზე. ამ სერიაში ირიცხება: „თეატრი და დრამატურგია“, „ისტორიული დრამის ამოცანა“, „ჩემი შენიშვნები“ (ეხება თეატრის ორგანიზაციის საკითხს და მსახიობის შემოქმედებას), „თეატრი და ცხოვრება“, „ამპლუა“, „მაყურებელი“, „შებოჭილი არტისტი“, „თამაში“.

დაწერილი და გამოქვეყნებული აქვს მრავალი პუბლიცისტური წერილი. ამ სტატიებში ეხება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, საყოფაცხოვრებო და სხვა საკითხებს.

აქაც ავტორი გამოიყურება როგორც საღად მოაზროვნე, ნოწინავე იდეების მატარებელი პიროვნება, რომელიც იბრძვის მშრომელი ხალხის ინტერესებისა და მისი იდეოლოგიის გამარჯვებისათვის.

შ. დადიანმა მემუარულ ლიტერატურაშიც შეიტანა თავისი წვლილი: დაწერა და გამოაქვეყნა მოგონებები—თავის ნამაზე—„სილუეტი ნიკო დადიანისა“ (შვილის გახსენება), „ლადო ნესხიშვილი“, „ვასო აბაშიძე“, „ეველინა წუწუნავა“ და სხვ. დაწერილი აქვს ავტობიოგრაფიული მოგონებები „შიშველი მე“. რომლის გამოქვეყნების ნებას ავტორი თავის სიცოცხლეში არ იძლევა.

შ. დადიანი თავის გამოქვეყნებულ მხატვრულ ნაწარმოებებს და სხვადასხვა სტატიებს გარდა გვარი და სახელისა ფსევდონიმებსაც აწერდა. მისი ფსევდონიმები იყო: „შ. დ-იანი“ „ქუჯი“, „ნარიმანი“, „-ვა-ი“, „904“, „შამან დოვლე“ და სხვა.

* * *

შ. დადიანს თეატრი მიაჩნდა ისეთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელმაც ჩვენი ხალხის ფართო ნასების პოლიტიკურად გათვითცნობიერებას, კულტურულად ამაღლებას და განვითარებას ხელი უნდა შეუწყოს. ამიტომ ის ძალღონეს არ იშურებდა და ერთგულად ემსახუ-

რებოდა ამ საქმეს. სასცენო ხელოვნების დარგში ის მეცნიერ-
და მსახიობად, რეჟისორად და იყო სათეატრო საქმის ორ-
განიზატორი.

შ. დადიანი როგორც მსახიობი ვიწრო ამპლუას ჩარჩოებ-
ში ვერ თავსდებოდა. იგი თანაბარი აქტიორული ოსტატობით
ანსახიერებდა სხვადასხვა ხასიათის როლს. ამისათვის ყველა
მონაცემი ხელს უწყობდა.

მას ჰქონდა სცენისათვის საჭირო მშვენიერი გარეგნობა,
ძალიან კარგი და საამოდ სასმენი ხმა, მშვენიერი დიქცია,
ტემპერამენტი და აქტიორული შემოქმედების უნარი. ხაზ-
გასმით აღსანიშნავია ის, რომ შ. დადიანმა ძალიან კარგად
იცის ქართული ენა და ნამდვილი ქართული კილოთი მეტ-
ყველებს. ყველაფერი ეს ძლიერ ეხმარებოდა წმინდა ქართუ-
ლი ტიპების განსახიერებაში.

შ. დადიანი ქართული თეატრის რეალისტური სკოლის
პრინციპზე აღზრდილი მსახიობია და მუდამ მტკიცედ ადგა
ამ ტრადიციულ გზას. ის ყველა როლს კეთილსინდისიერად
სწავლობდა. განსასახიერებელ პერსონაჟებს სწვდებოდა სიღრ-
მეში, როლის ხასიათის ყველა წვრილმანს არკვევდა და მა-
ყურებლის წინაშე ხატავდა მართალ სახეს. მისი განსახიე-
რებული გმირები ნამდვილი ცოცხალი ადამიანები იყვნენ,
რომელთაც არ ახასიათებდათ რაიმე, ყალბი პათოსი და ძალ-
დატანება. მის თამაშს ახასიათებდა ზომიერება და სისადავე.
ყოველივე ამის გამო, მისი სცენაზე ლაპარაკი და მოქ-
მედება მაყურებელში ღრმა ემოციებს იწვევდა. უკანას-
კნელი შ. დადიანის მიერ შექმნილი სცენური სახით მუდამ
კმაყოფილი იყო და მსახიობს მხურვალე ტაშით აჯილდოებ-
და. პრესაც შ. დადიანის მსახიობურ შემოქმედებას გულ-
თბილად ეხმაურებოდა.

შალვა დადიანს საერთოდ 290-ზე მეტი სხვადასხვა
ხასიათის როლი აქვს შესრულებული, მათ შორის, დავასა-
ხელებთ: არჩილი—„მეგობრობა“ ნ. შიუკაშვილისა, ოთარბე-

გი, სოლეიმანხანი, ბესო—„ღალატი“ ალ. სუმბათაშვილი-იუჟინისა, სვიმონ ლეონიძე—„სამშობლო“ დ. ერისთავისა, შოთა რუსთაველი—„რუსთაველი“ კ. მესხისა, გაიოზ ფალავა, ოტია ჯოლია—„და-ძმა“ ვ. გუნიასი, შაჰაბაზი—„ქეთევან წამებული“ ალ. ყაზბეგისა, არიმანი—„სტუმარ-მასპინძლობა“ ტრ. რამიშვილისა, ჯამულეთი—„ფრთა მოტეხილი ყორანი“ მისივე, დადია—„გეგეჭკორი“ თვით შალვა დადიანისა, მსახიობი—„ფსკერზე“ მ. გორკისა, ონუფრი ნიკოლაევიჩ—„დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ ლ. ანდრეევის, მიკინ—„შემოსაელიანი ადგილი“ ა. ოსტროვსკის. მეფე—„მედეა“ სუვორინისა და ბურენინის, კარლ მოორი—„ყაჩაღები“ ფ. შილერისა, ჟან რულ—„ჟან და მადლენა“ ოქტავ მირბოსი, ფუშე—„მადამ სან ჟენ“ ვიქტორიენ სარდუსი, იუსტუს—„ჩერჩეტი“ ფულდისა, ნერონი—„ვიდრე ხვალ უფალო“ პიესა გადმოკეთებ. ჰენრ. სენკევიჩის რომანიდან და სხვ.

როლების ჩამოთვლას აღარ გამოვუდგებით... ჩვენ ვთქვით რომ შ. დადიანის შემოქმედებით მაყურებელი ყოველთვის ნასიამოვნები იყო და პრესაც გულთბილად ეხმაურებოდა. თუ ეს ასეა, მაშინ ზემოთ დასახელებული როლებიც საკმაოა იმისათვის, რათა ნათლად წარმოვიდგინოთ თუ როგორი დიაპაზონის აქტიორი იყო შ. დადიანი.

1907 წლიდან შ. დადიანი სარეჟისორო ასპარეზზეც გამოდის და აქედან დაწყებული იგი მსახიობობასთან ერთად პარალელურად რეჟისორობასაც ეწეოდა. როგორც რეჟისორს, მას ახასიათებდა: საქმის სიყვარული, ორგანიზაციული ნიჭი და ცოდნა. სპექტაკლებს დგამდა რეალისტურ პლანზე. შესაძლებლობას არ იშურებდა სპექტაკლებში გამოჩენილიყო ანსამბლი და მხატვრულად კარგად ყოფილიყო გაფორმებული.

შ. დადიანის რეჟისორულ უნარს პრესა ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა. 1908 წ. როცა ის ქუთაისში მუშაობდა რეჟისორად და მსახიობად, სხვათაშორის დადგა დ. ერისთავის ისტორიული დრამა „სამშობლო“ და გაზეთი „ამირანი“

(1908 წ. № 190) სწერს: „სამშობლომ“ 14 ამ თვეს (იგული-სხმება ოქტომბერი ს. გ.) მრავალი ხალხი მიიზიდა ქართულ თეატრში. გაიჭედა გალერეა, პარტერი და მსურველი თეატრში შესვლისა მაინც იყო. უადგილობის გამო ბევრი დაბრუნდა. ქუთაისის ამხანაგობის რეჟისორი ბ-ნი დადიანი ბევრსა ცდილობს თეატრი წესიერად მოაწყოს და ამ მხრივ იგი, რამდენადაც კი შესაძლებელია ქუთაისის თეატრში სასწაულთმოქმედებას იჩენს ხანდახან“.

როგორც ცნობილია ქუთაისის მაყურებელი ლადო მესხიშვილის თამაშზე და მის მიერ მოწყობილ წარმოდგენებზე იყო შეჩვეული და აღზრდილი. მისი წასვლის შემდეგ. თეატრი რომ ხალხით იჭედება, მაყურებელი რომ კმაყოფილი რჩება და პრესაც აღფრთოვანებულ რეცენზიას აქვეყნებს. ეს უეჭველად შ. დადიანის რეჟისორულ და ორგანიზატორულ ნიჭს უნდა მიეწეროს.

რაკგანაც ქუთაისის თეატრზე ჩამოვარდა ლაპარაკი აქვე ვიტყვით, რომ ამ სეზონში შ. დადიანის რეჟისორობით ამ თეატრში დაიდგა ისეთი პიესები, რომლებიც ამხელდნენ კაპიტალისტური წყობილების სივაგლახეს, მეფის მთავრობის კოლონიალურ პოლიტიკის უმსგავსოებას.

დგამდა ისეთ დრამატულ ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახული იყო ხალხის პატრიოტული გრძნობები, სამშობლო ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლა.

ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატი“, აკაკის „პატარა კახი“, ავქ. ცაგარლის „ქართველი დედა“, პ. ირეთელის „დამარცხებულნი“, მ. გორკის „ფსკერზე“, შილერის „ყაჩაღები“, მონტის „კაი გრაკხი“, და სხვა ასეთი შინაარსის პიესები, აი რეპერტუარი, რომლითაც ქუთაისის თეატრი, შ. დადიანის რეჟისორობის დროს, თავის მაყურებელს უჩვენებდა. ხალხი სულიერ სიმშვიდეს და ერთმანეთთან შემაკავშირებელ საშუალებას თეატრში პოულობდა და წარმოდგენებსაც ამიტომ აწყდებოდა.

იმავე სეზონში, სახელდობრ 1908 წლის 16 ნოემბერს

შ. დადიანმა დადგა თავისი პიესა „როს ნადიმობდნენ“. მწვავე რეაქციის დროს ასეთი რევოლუციური იდეებით გაჟღენთილი სპექტაკლის მაყურებლისათვის ჩვენება დიდი გამბედაობა იყო და ის ხალხსაც გაამხნევებდა. შ. დადიანის დამსახურებაც სწორედ ის არის, რომ მან შესძლო, ხალხის მოთხოვნილებასთან შეფარდებული რეპერტუარის შერჩევა, კარგი სპექტაკლების ჩვენება და ასეთი საშუალებით მაყურებლის თეატრში მიზიდვა. აღსანიშნავია ისიც, რომ შ. დადიანი თავის მოღვაწეობაში მუდამ გამბედავი იყო და ამას სათეატრო საქმის განვითარებისათვის დიდი სარგებლობა მოჰქონდა.

ქუთაისში შ. დადიანმა იმუშავა რამდენიმე წელიწადს.

1912 წელს შ. დადიანის მეთაურობით შედგა ე. წ. „მოგზაური დასი“, რომელშიც ირიცხებოდნენ ახალგაზრდა მსახიობები. დასი მიზნად ისახავდა წარმოდგენების მართვას ზღვისპირა ქალაქებში—ბათუმში, ფოთში, სოხუმში და სხვაგან. დასს ბაზა ბათუმში ჰქონდა. პირველი წლის განმავლობაში დასი მართლაც მოგზაურობდა და მართავდა წარმოდგენებს, არა მარტო ზღვისპირა ქალაქებში, არამედ სხვაგანაც. მოგზაურმა დასმა ხალხს თეატრი შეაყვარა და ზემოთ ხსენებულ ქალაქების საზოგადო მოღვაწეთ მუდმივი პროფესიული თეატრის ან სცენისმოყვარეთა დრამწრის ჩამოყალიბების სურვილი აღუძრა. თვით შ. დადიანის ინიციატივით პირველად ბათუმმა აღიმაღლა ხმა. აქ დაარსა დრამატული საზოგადოება, სათეატრო საქმეს სათავეში ჩაუდგა და „მოგზაური დასი“ ბათუმის თეატრად გადაკეთდა. ამრიგად ბათუმის პროფესიული თეატრის ფუძემდებლად შ. დადიანი ითვლება. შ. დადიანი არის ამ თეატრის არა მარტო ორგანიზატორ-დამაარსებელი, არამედ ხელმძღვანელ-რეჟისორი და მსახიობი.

„ბათუმის გაზეთი“ აქვეყნებს რა „მოგზაური დასის“ წლიურ ანგარიშს, შ. დადიანისა და მის მიერ დაარსებულ თეატრის შესახებ, ამბობს: „ეს ანგარიში ბევრს საგულისხ-

მოს გვეუბნება. ერთი რომ ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს იმას, თუ რა შეუძლია საქმის სიყვარულსა და ენერგიას. მსახიობთა ჯგუფმა, რომელსაც თავიანთი გარჯილობისა და შრომის უნარის მეტი არა გააჩნდათ რა, იმდენი მოახერხა, რომ ფულიც იშოვა და ჩინებული სეზონიც გააჩაღა ბათუმში. ხალხს შეაყვარა თეატრი. გაუღვიძა ინტერესი სათეატრო ხელოვნებისადმი. დაიმსახურა მისი ნდობა და საქმე იქამდე მიიყვანა, რომ თუ წინეთ ბათუმში არამც თუ ადგილობრივ სცენისმოყვარეთა მიერ ნაცოდვილარ წარმოდგენებს, არამედ საგასტროლოდ ჩამოსულ ქართულ დასთა საღამოებსაც არ ესწრებოდა აქაური საზოგადოება, ეხლა დიდის ხალისით იწყო სიარული „მოგზაურის“ წარმოდგენებზე. და ხშირად სრულიად ავსებდა სათეატრო დარბაზს. ეს უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ თვითონ დასი მუშაობდა ენერგიულად—მუდამ ჟამს როლების ცოდნა. ანსამბლის დაცვა იყო ამის ხელისშემწყობი და თან ყველასათვის ხელმისაწვდომი იაფფასიანი ბილეთები“. *

ვფიქრობთ ეს ამონაწერი ყველაფერს ნათლად ხსნის და მას კომენტარები არ სჭირდება.

შ. დადიანს აგრეთვე დიდი ღვაწლი მიუძღვის სოხუმის თეატრის წინაშე. იქ მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი ათეული წლებიდან არსებობდა ქართული დრამწრე, რომელიც წარმოდგენებს მართავდა. მაგრამ წრის მუშაობა სისტემატურ ხასიათს არ ატარებდა, რადგან სცენისათვის გამოსადეგი, მომზადებული ძალები ცოტა ჰყავდა და რეჟისურაც მოისუსტებდა. 1911 წლის შემოდგომაზე დრამწრის ხელმძღვანელ-რეჟისორად და მსახიობად მიიწვიეს შ. დადიანი. მსახიობად მიიწვიეს აგრეთვე მისი მეუღლე ელ. ანდრონიკაშვილი (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი). შ. დადიანმა დრამწრის საქმიანობა ძირიან-ფესვიანად გადააკეთა: წრეში შემოიკრიბა სცენისათვის გამოსადეგი

* „ბათუმის გახეთი“, 1913 წ. №29.

ნიჭიერი ახალგაზრდობა და გაწვრთნა იგი, უკუაგდო იაფფასიანი ვოდევილები და დაიწყო სერიოზული პიესების დადგმა, ჯეროვანი ყურადღებით ეპყრობოდა სპექტაკლების მხატვრულ გაფორმებას და ანსამბლობას. დრამწრე მარტო სოხუმით არ კმაყოფილდებოდა და ახლო-მახლო დაბა-ქალაქებში მიემგზავრებოდა საგასტროლოდ. გაიზარდა მაყურებელთა კონტიგენტიც.

საერთოდ ეს სეზონი ფრიად ნაყოფიერი გამოდგა და სოხუმში ქართული თეატრის მკვიდრ ნიადაგზე დაყენების საქმეში შ. დადიანმა დიდი როლი შეასრულა.

1915-1916 წლის სეზონის წარმოებაზე ქუთაისის დრამატიულმა საზოგადოებამ უარი განაცხადა და ქუთაისი, ტრადიციული თეატრალური ქალაქი, უთეატროდ რჩებოდა. მაშინ, შ. დადიანის მეთაურობით შედგა მსახიობთა ამხანაგობა, რომელმაც სეზონის გაძღოლა იკისრა. დასის რეჟისორ-ხელმძღვანელი იყო შ. დადიანი, რასაკვირველია, მსახიობობდა კიდეც. ეს სეზონიც მან წარმატებით ჩაატარა.

1916-1917 წლის სეზონში ხელმძღვანელ-რეჟისორად და მსახიობად მიიწვიეს ბაქოს ქართულ თეატრში. ის იქაც მისთვის ჩვეული ენერგიითა და ხალისით ჩაუდგა საქმეს სათავეში და თეატრი ფეხზე დააყენა.

1917-1918 წლის სეზონში თბილისის თეატრში მუშაობდა რეჟისორად და მსახიობად.

1920 წ. კვლავ დადგა ქუთაისის თეატრის კრიზისი. დრამატულ საზოგადოებას საკმაო ნივთიერი სახსარი არ გააჩნდა იმისათვის, რომ სეზონს წესიერად გაძღოლოდა. ასეთი გაჭირვების დროს გამგეობამ ხელმძღვანელ-რეჟისორად და მსახიობად შ. დადიანი მიიწვია. მან დასი მეტწილად ახალგაზრდა დამწყებ ძალებისაგან შეადგინა და მიუხედავად ყოველმხრივი გაჭირვებისა მუშაობა გააჩაღა. თეატრი დახურვას გადაარჩინა.

შ. დადიანი მუშაობდა რეჟისორად და მსახიობად ჭიათურისა და სხვა თეატრებშიც.

ის თავის რეჟისორულ მუშაობაში ფართოდ იყენებდა მოსკოვის მოწინავე თეატრებიდან (მცირე და სამხატვრო თეატრები) მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას.

შ. დადიანი როგორც რეჟისორი და თეატრის ორგანიზატორი იმითაა შესანიშნავი, რომ ის თავიდანვე მოწინავე იდეების მატარებელი პიროვნება იყო და ეს იდეები შეჰქონდა თეატრის საქმიანობაში. თავის მოღვაწეობის დროს არაერთხელ შეხვედრია ამის გამო პოლიცია-ჟანდარმერიის ტუქსვა და მუქარა. ბათუმში პიესის „როს ნადიმობდნენ" დადგმის დროს ადმინისტრაციამ სასამართლო წესით პასუხისგებაშიც კი მისცა, მაგრამ მას არას დროს ქედი არ მოუხრია და კვლავ შეუპოვრად განაგრძობდა გზას ერთხელ არჩეული მიმართულებით.

შ. დადიანს როგორც სათეატრო მოღვაწეს საქართველოს თითქმის ყველა ქალაქსა და დაბაში გაუმართავს წარმოდგენები, ანდა სხვების მიერ გამართულ წარმოდგენებში მიუღია მონაწილეობა როგორც მსახიობს. იგი ხშირად სოფლებშიც კი მართავდა წარმოდგენებს და ასეთნაირად ხალხის ფართო მასებში შეჰქონდა სასცენო ხელოვნების კულტურა. ის თითქმის ყოველწლიურად ზაფხულობით ადგენდა მსახიობთა ამხანაგობებს და საგასტროლოდ მიემგზავრებოდა რაიონებში.

საგასტროლო მოგზაურობის დროს შ. დადიანს და მის მიერ შედგენილ ამხანაგობას ბევრი გაჭირვება, დაცინვა და ხიფათიც შეხვედრია, მაგრამ ისინი ყველაფერს გმირული მოთმინებით იტანდნენ. ამის დასადასტურებლად აი რამდენიმე შემთხვევაც:

1919 წ. შ. დადიანი მსახიობთა ამხანაგობით ლაგოდეხს ესტუმრა. იქ რამდენიმე წარმოდგენა გამართა, მაგრამ ცოტა შემოსავალი იყო და თითქმის ხელცარიელი ბრუნდებოდნენ უკან. მოემგზავრებოდნენ ფურგუნით. გზაზე მათ ყაჩაღები დაესხნენ თავს და ამასთან დაკავშირებით თუ როგორი მდგომარეობა შეიქნა, ამის შესახებ სიტყვა დავუთმოთ ამხანაგობის წევრს ჩვენ საყვარელ მსახიობს აწ განსვენებულ ელი-

საბედ ჩერქეზიშვილს. „როცა ჭიაურის ტყეს მივუახლოვდით,—გვიამბობს იგი:—უცბად მოგვესმა „გაჩერდითო“ და თოფიანები გამოჩნდნენ. ჩვენმა ერთმა გამცილებელმა, გამყრელიძემ შალვას დაბალი ხმით უთხრა,—არ შეგეშინდეს. ყაჩაღები არიან! ქალები შიშმა აგვიტანა. შალვა კი ერთს წუთს შედგა და შემდეგ ისეთი თვალით გადმოგვხედა, რომ ყველანი ერთბაშად დავმშვიდდით. თითქმის ერთი საათი ვისხედით გზის გაღმა, აპრილ სიმინდში. ოთხი ყაჩაღი ჩვენს ჩენოდანს ძარცვავდა, სამი კი თოფმოღერებული იდგა გზის პირას. ერთი ყაჩაღი შალვას მიუახლოვდა და შესძახა,—აბა ფული ჩქარაო.—შალვამ ჯიბეზე ხელი გაისვა და ორი თუმანი ამოიღო. ტუჩზე ღიმილი უთამაშებდა, ყაჩაღს დაცინვით შეხედა და პირდაპირ თავზარი დასცა თავის მოხდენილი პასუხით.

— ინებე, შენი ჭირიმე, უკაცრავად, ამის მეტი არა მაქვსო.

ყაჩაღმა ფული უკან დაუბრუნა შალვას და დაბალი ხმით უთხრა:

— ეგ შენი სიტყვა ყველა ფულს მირჩევნიაო,—და ამხანაგებს გადასძახა:—გაუშვით, წავიდნენო!

უხმოდ ჩავსხედით გაძარცულ ფურგონში. სიჩუმე პირველმა შალვამ დაარღვია—არა უშავს რა, ქალებო, ნუ იდარდებთ! ახლა ისეთ ალაგებში წაგიყვანთ, სადაც ყაჩაღები არ იქნებიანო—და თან გულიანად გაიცინა. ჩვენ კვლავ გავმხიარულდით...

შალვა ჩვენი გაჭირვების ტალკვესია, რაც უნდა გაჯავრებული იყო ვინმეზე, მისი ტკბილი საუბარი უმალვე გულმოსულობას გაგიქარვებსო“,—ასკვნის ავტორი*.

ახლა კიდევ მეორე ამბავი, მაგრამ ეს უკვე სასაცილო.

ერთხელ მსახიობთა ამხანაგობა, რომელშიც შალვაც ირიცხებოდა საგასტროლოდ დაბა აბაშაში ჩავიდა. დაიქირავეს

---

* ელისაბედ ჩერქეზიშვილი, მოგონებანი, 1941 წ. გვ. 51—53.

ბინა, გააკრეს აფიშები. დადგა წარმოდგენის დღე. საღამოს რვა საათია და სალაროში მხოლოდ თვრამეტი შაურის ბილეთია გაყიდული. ამხანაგობის წევრები ძლიერ შეწუხებული არიან. ბოლოს ვიღაცამ ურჩია: აქ არის ერთი რუსი, რომელიც ფეხებით ბარაბანს უკრავს, ხელით ტაშტებს და თავით კიდევ პატარა ეჟვნებს აწკარუნებს, ის მოიყვანეთ და ხალხის შეკრებას ხელს შეუწყობსო. მართლაც მოიყვანეს. უკრავს, მაგრამ ხალხი მაინც ცოტა იკრიბება. მოსულთა შორის ერთი ჩოხა-ახალუხში გამოწყობილიც ერია. მან შალვაზე თვალი შეაჩერა და ამხანაგობის ერთ-ერთ წევრს კითხა ვინ არის ის ყმაწვილი კაცი, იმანაც უპასუხა შალვა დადიანიაო, მივიდა შალვასთან. გაეცნო. ცოტახანს ელაპარაკა, შემდეგ უცებ გასცილდა. გაექანა ქუჩისაკენ და მორთო ყვირილი:

— ხალხო მოდით, ბატონიშვილი (დადიანებს ასე ეძახდნენ სამეგრელოში ს. გ.) ჩამოსულა, ცირკში მოთამაშეები არიან. ბატონიშვილი თოკზე გაიარ-გამოიარს... საინტერესო ამბები იქნება, მოდით-ო.—ის ყმაწვილი, რასაკვირველია, მეგრულად ლაპარაკობდა. ამხანაგობის მონაწილენი შალვას ეკითხებიან რას ლაპარაკობსო. მან უპასუხა:

— რას და ჯანდაბას: რას ეუბნებოდით, რომ მე დადიანი ვარო.—შალვამ გაიცინა, იცინოდნენ სხვებიც. იქნებ მათი სიცილი ნაღველნარევი იყო!

წარმოდგენამ იმ საღამოს ამხანაგობას მხოლოდ თუთხეტი მანეთი შემოსავალი მისცა.

შ. დადიანს კერძოდ და საერთოდ მის ამხანაგებს რამდენი ასეთი ამბები შეხვედრიათ.

სიტყვას გავყევით. ისევ შ. დადიანის რეჟისორობას დავუბრუნდეთ. მან დადგა 105-ზე მეტი სხვადასხვა ჟანრის პიესა. მათგან უკვე მოვიხსენიეთ. ზოგი კიდევ დავასახელოთ: „მსხვერპლი“ და „გამცემი“ ი. გედევანიშვილისა, „სულელი“ ნ. შიუკაშვილისა, „ქრისტინე“ პ. ირეთელისა, „სტუმარ-მასპინძლობა“ და „ფრთა მოტეხილი ყორანი“ ტრ. რამიშვი-

ლისა, „ვინ არის დამნაშავე“ ნ. ნაკაშიძისა, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ და „გაუდეამუს“ ლ. ანდრეევისა, „ირინეს ბედნიერება“ დ. კლდიაშვილისა,“ „გადაჭრილი მუხა“ და „უნიადაგონი“ ვ. შალიკაშვილისა, „სახელმწიფო სადგომი“ რიშკოვისა, „ცხოვრების გარეშე“ პროტოპოპოვისა, „ოტელო“ უ. შექსპირისა, „ქოჩრიანი ტოროლა“ ვილდენბრუნისა და სხვ.

შ. დადიანმა თავისი წვლილი შეიტანა ქართული კინემატოგრაფიის საქმეშიც. მან როგორც მსახიობმა მიიღო მონაწილეობა შემდეგ ფილმებში: „სურამის ციხე“, „არსენ ჯორჯიაშვილი“, „მოძღვარი“, რომელშიც ასრულებდა მთავარ როლს მოძღვარ ონოფრესას.

დაწერა რამდენიმე სცენარი: „არსენ ჯორჯიაშვილი“, „ქარიშხალი“ და „ვეფხისტყაოსანი“, აქედან ორი პირველი სცენარის გადაღება განხორციელებულ იქნა.

* * *

შ. დადიანი წინათაც ღებულობდა და ახლაც მხურვალე მონაწილეობას ღებულობს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ძველად ის იყო წევრი მთელ რიგ კულტურულ გამანათლებელ ნებაყოფილებით საზოგადოებათა, როგორიც იყო—ქართული დრამატული საზოგადოება, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება, ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოება და. სხვ.

1914 წ. მოეწყო საქართველოს სათეატრო მოღვაწეთა პირველი ყრილობა, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი იყო შ. დადიანი.

1917 წ. შ. დადიანის მეთაურობით დაარსდა ქართველ მსახიობთა კავშირი, რომლის თავმჯდომარედაც ის აირჩიეს.

შ. დადიანი არის საქართველოს მწერალთა კავშირის

გამგეობის და პრეზიდიუმის მუდმივი წევრი დღიდან კავშირის დაარსებისა.

1943 წ. არჩეულ იქნა საქართველოს მწერალთა კავშირის დრამსექციის თავმჯდომარედ და დრამკომის დირექტორად. ორივე თანამდებობაზე დიდხანს მუშაობდა.

1945 წ. არჩეულ იქნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად და თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1950 წელს კი არჩეულ იქნა იმავე საზოგადოების თავმჯდომარედ, რომელ თანამდებობაზეც ამჟამადაც განაგრძობს მუშაობას.

1945 წ. ის დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრად.

შ. დადიანის საქმიანობა ამითაც არ ამოიწურება: 1921 წ. საქართველოში დამყარდა თუ არა საბჭოთა ხელისუფლება ის დაინიშნა განათლების სახალ. კომისარიატთან არსებულ ხელოვნების კომიტეტის სათეატრო განყოფილების გამგედ და მთელი 3 - 4 წელიწადი ხელმძღვანელობას უწევდა საქართველოში სათეატრო საქმეს.

1924—1926 წ. წ. მუშაობდა მოსკოვში ქართული კულტურის სახლის გამგედ და რეჟისორ ვახტანგ მჭედლიშვილის მიერ დაარსებულ დრამსტუდიის ხელმძღვანელად.

საქართველოს მშრომელი ხალხი და საბჭოთა ხელისუფლება შ. დადიანის სალიტერატურო, სასცენო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას დიდად აფასებდა და აფასებს. ამიტომ 1923 წელს შ. დადიანს დიდი ზეიმით გადაუხადეს მოღვაწეობის 30 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე, მთავრობის დადგენილებით მას მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება.

იუბილე მოსკოვშიც გადაუხადეს. ზეიმში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის დედაქალაქის თეატრალურმა და ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ჩვენი თანამემამულე ალ. იუჟინისუმბათაშვილი მცირე თეატრის სახელით და ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო სამხატვრო თეატრის სახელით.

1939 წ. შ. დადიანს მეორედ გადაუხადეს იუბილე: აღინიშნა მისი დაბადებიდან 65 წლისთავი და მოღვაწეობის 45 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით ის დაჯილდოებულ _ იქნა ლენინის ორდენით.

1946 წელს იუბილე მესამედ გადაუხადეს და აღინიშნა მისი დაბადებიდან 70 წლისთავი და მოღვაწეობის 50 წლისთავი. ამჯერად დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.

1937 წელს ხალხმა დიდი ნდობით აღჭურვა და აირჩია სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს დეპუტატად. 1946 წელს კი იგი მეორედ იქნა არჩეული დეპუტატად.

შ. დადიანს გარდა ზემოთ დასახელებული ჯილდოებისა კიდევ მიღებული აქვს: მედალი „კავკასიის დაცვისათვის“— 1945 წელს და მედალი „მამაცური შრომისათვის დიდ სამამულო ომში 1941—1945 წ. წ.“—1946 წელს.

ასეთია ერთი თვალის გადავლებით შალვა დადიანის ცხოვრება და მოღვაწეობა.

1894 წელს შალვას დაბადებიდან ოცი წელიწადი შეუსრულდა, ამავე დროს იგი უკვე სამოღვაწეო ასპარეზზე იყო ახლად ფეხადგმული და საკუთარი შრომით ცხოვრებას ლამობდა. ეს წელიწადი შალვას ცხოვრებაში ფრიად შესანიშნავი თარიღი იყო. მამამისი ნიკოც კარგად გრძნობდა მომენტის სიდიადეს. ამ დღის აღსანიშნავად თავის პირმშოს მამამ ორიგინალური საჩუქარი მიუძღვნა: საათი და კომპასი, შემდეგი ლექსის წარწერით:

„ყველგან სცნობდე დროს“ და „მხარესა“,
იმხრობდე მშრომელ—აღმზრდელ მხარესა,
„დროს“ ეგებვოდე, „ალაგს“ შვენოდე,
ჰკუით შორს ჰვრეტდე ნათელ არესა,
იგნებდე გზასა, მტერს, მოყვარესა!..
. . . და წინ საწადელ აკვანთ დამდგმელი
წმინდად იცავდე „დიდთ“ სამარესა“.

ეს ლექსი თვით ნიკო დადიანის კალამს ეკუთვნოდა.

საყვარელ მამის ამ გონიერ დარიგებას შ. დადიანი ყოველთვის სასოებით ინახავდა გულის სიღრმეში. ეს დარიგება იყო მისი მომავალი ცხოვრების გზის მანათობელი. დღეს, როდესაც მან 80 წლის ასაკი უკან მოიგდო, კვლავ ფეხდაფეხ მისდევს ცხოვრებას, მამის ანდერძს არ ივიწყებს და მისთვის ჩვეული ხალისით განაგრძობს მოღვაწეობას

შ. დადიანი ერთ თავისს ავტობიოგრაფიულ წერილში მოგვითხრობს თუ როგორი ზეიმით გადაუხადეს მას იუბილეპირადად მისთვის რა გაკეთდა და ბოლოს ამბობს:

„...ასე რომ ამჟამად პანაშვიდის გარდა არაფერი მაკლია, მინდა, რასაკვირველია, შორს იყოს ეს თარიღი, რადგან ჯერ-ჯერობით ჯანზედაც ვარ და დასაწერიც კიდევ კარგა ძალი მაქვს... იმდენი მინახავს და იმდენი განმიცდია. თანაც არ დამისრულებია განზრახული ჩემი კვინკლოსი. გული დამწყდება რომ ვერ გამოვამჟღავნო“-ო *.

ჩვენი ხალხის სურვილია კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს იცოცხლოს და კვლავ განაგრძოს თავისი საყვარელი საქმე სპეტაკმა მოქალაქემ შალვა დადიანმა.

---

* საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის არქივი №„6“—11273.

რედაქტორი: შ. აფხაიძე

გადაეცა წარმოებას 21|X 54 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22|X 54 წ.
ანაწყობის ზომა 5,5×8,5. ქაღალდის ზომა 54×84. სასტამბო ფორ-
მათა რაოდენობა 2,25

უე 05947 ტირაჟი 2000 შეკვ. № 1053

თბილისი, პლეხანოვის პრ. № 181 გამ. „საბჭოთა მწერალის სტამბა“.